

შესავალი

ქალაქ ლანჩხუთის განვითარების პროექტი მომზადდა პროექტ „თვითმმართველობის გარეშე დარჩენილი ქალაქების ადვოკატირება განვითარებისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სახსრებით, „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში (G-PAC). ამ კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები არ არის აუცილებელი ეთანხმებოდეს EWMI-ის და/ან USAID-ის მოსაზრებებს. აღნიშნული პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქ ლანჩხუთის განვითარების საშუალო ვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, რათა ამ გეგმაში მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის აზრის მნიშვნელოვანი გათალისწინება.

გაწეული საქმიანობა და სტრატეგიული განვითარების გეგმა.

პროექტის საწყის ეტაპზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ქალაქ ლანჩხუთის რწმუნებული, აპარატი, შესაბამისი სამსახურები, ქალაქ ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი, გამგეობის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები და ადგილობრივი ჟურნალისტები.

- ❖ მოძიებულ იქნა ინფორმაცია და დამუშავდა ქალაქ ლანჩხუთის პროფილი
- ❖ განხორციელდა ქალაქ ლანჩხუთის საჭიროებათა კვლევა
- ❖ ფოკუს ჯგუფების მიერ შემუშავდა SWOT ანალიზი
- ❖ ჩამოყალიბდა ხედვა და სტრატეგიული მიმართულებები
- ❖ განისაზღვრა პრიორიტეტები და კონკრეტული პროექტები
- ❖ განისაზღვრა წარმატების ინდიკატორები

ქალაქ ლანჩხუთის პროფილი

ლანჩხუთი, ქალაქი
გურიის მხარეში,
ლანჩხუთის მუნიციპალ
იტეტის
ადმინისტრაციული
ცენტრი. ქალაქად
გამოცხადდა 1961 წელს.
მოსახლეობა 8 ათასი
(2006 წ.). წყაროებში
პირველად
მოხსენიებულია
XVII საუკუნეში .



მდებარეობს
გურიის დაბლობზე, ზღვის
დონიდან 20 მ .
ლანჩხუთში ზღვის
ნოტიო სუბტროპიკული
ჰავაა, იცის თბილი ზამთ
არი და ცხელი ზაფხული
ქალაქი დაშორებულია
თბილისიდან 274 კმ-ით,
ბათუმიდან 85 კმ-

ით, ფოთიდან 42 კმ-ით.ლანჩხუთში არის რკინიგზის სადგური სამტრედია - მახინჯაურის ხაზზე. გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა ურეკი - სამტრედია (ს -12), ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა ლანჩხუთი -ნასაკირალი

ქალაქში არის ჯანდაცვის დაწესებულებები ,სამი საჯარო სკოლა , იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამრევლო სკოლა, კულტურის ცენტრი .გამოდის სამი გაზეთი : " ლანჩხუთი +",

„ლანჩუთის მოამბე“ და " ჰო და არა ". მოქმედებს მუნიციპალური ბიბლიოთეკა .
 ლანჩუთში არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი , რომელიც დაარსდა 1978 წელს .
 დღესდღეობით მუზეუმში 7886 არქეოლოგიური , ნუმიზმატური , სახვითი ხელოვნების
 , ეთნოგრაფიული

, ბუნების, ისტორიული ექ
 სპონატია .

განსაკუთრებით
 აღსანიშნავია მველი
 წელთაღრიცხვით მე-
 4 საუკუნის ბრინჯაოს
 მუზარადი, ბრინჯაოს
 კოლხური ცულების
 კოლექცია , ანტიკური



ხანის კერამიკა , მე -4 საუკუნის ბრინჯაოს ჯვარი, მე -11 საუკუნის ლაპიდარული წარწერა ქვაზე
 , გურული ცხენოსნების ამერიკაში მოგზაურობის ექსპონატები , ნოე ჟორდანის პირადი
 ნივთები და სხვ .


ქალაქში არის საფეხბურთო კლუბი " გურია ". ის ჩამოყალიბდა 1925 წელს და ერქვა " კიმი ".
 "გურია" ორჯერ თამაშობდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში , ერთხელ მოიპოვა
 საქართველოს თასი , ხოლო ორჯერ დაიკავა მეორე ადგილი საქართველოს
 ჩემპიონატში. ამჟამად კლუბი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს .
 ლანჩუთში დაიბადა ნოე ჟორდანი - ქართველი პოლიტიკოსი , საქართველოს
 დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე




საჭიროებათა კვლევა და ანალიზი

საჭიროებათა კვლევა განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით.


კვლევა ჩატარდა ქალაქ ლანჩხუთში. გამოკითხული იქნა სულ 300 რესპოდენტი. გამოკითხულების 55% მამაკაცია, 45% კი ქალი.




რაც შეეხება ასაკს, გამოკითხულების 19,67%- 18-დან 29 წლამდეა, 24,33% - 30-დან 46 წლამდე, 37%- 46 წლიდან 65 წლამდე, 4,67% - 65 წელს ზევით, 18 წლამდე რესპოდენტები არიან 14,33%.



რესპოდენტების 1% საბაზო განათლებითაა, 25,34% -ტექნიკური, ხოლო 48,63% - უმაღლესი განათლებით. სტუდენტია 11.3%, მოსწავლე - 13,7%.




რესპოდენტების 4,11%-ის ოჯახი 2 ან ნაკლები წევრისგან შედგება, ორისგან 9,25%, 3 წევრისგან შედგება ოჯახების 21,58%, 4 წევრისგან - 20,89% და 5 ან მეტი წევრისგან 44.18%.




გამოკითხულთა 38% დაუოჯახებელია, 62% კი დაოჯახებული.


გამოკითხულთა 12,93% ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ პირად მეურნეობას და 62,59% ხელფასს ასახელებს, პენსიას - 14,63%, 3% სოციალურ დახმარებას და სხვას - 6,8%.




ოჯახის ეკონომიკური პირობების შეფასებისას რესპოდენტებმა 73,65% შემთხვევაში აღნიშნეს, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოა, 22% შემთხვევაში, მძიმე, 2% შემთხვევაში, კი უკიდურესად მძიმე.




სიღარიბის ძირითად მიზეზებად იმ რესპოდენტების მიერ, რომელთაც მძიმე და უკიდურესად მძიმე ეკონომიკური პირობები აქვთ, დასახელდა უმუშევრობა (66,67%), დაბალი შემოსავლები (24,14%), ოჯახის წევრის ავადმყოფობა(5,75%).




გამოკითხული რესპოდენტების მხოლოდ 49,16% თვლის თავს დასაქმებულად.




დასაქმებულთაგან 79,59% კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობს, 18,37% თვითდასაქმებულია და 2% დროებითაა დასაქმებული.




საკუთარი ბიზნესი გამოკითხულთაგან 16,57%-ს აქვს.




ოჯახის შემოსავლების ზრდისთვის გამოკითხულებს შემდეგი პრიორიტეტები მიაჩნიათ მნიშვნელოვნად: პროფესიული გადამზადება 30%, სესხის ხელმისაწვდომობა - 34%, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება - 14%. დანარჩენი პრიორიტეტები შედარებით ნაკლები პროცენტითაა.




თემში ბაგა-ბაღის მდგომარეობას განსხვავებულად აფასებენ. თვლიან რომ ბაღის ინფრასტრუქტურა შესაფასებელია ფრიადზე - 23,89%, კარგზე - 20,48%, საშუალოდ - 38,91%, ცუდად - 10,92% და ძალიან ცუდად - 5,8%.




რაც შეეხება კლუბისა და ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის შეფასებას, „5“-8,19%, „4“ - 32,76% , „3“ - 31,4%, „2“-8,53% და „1“ - 19,11%.




გზის ინფრასტრუქტურის შეფასებისას ძირითადად ფიგურირებს შეფასება „1“ და „2“ (34,13% და 23,55%). ასევე „3“ - 22,87%.



ელექტრო ენერჯის შეფასებისას ლანჩხუთში პრობლემა თითქმის არ ჩანს.



მთავარი ინფრასტრუქტურული პრობლემები ლანჩხუთისთვის არის წყალგაყვანილობის არქონა (10,93%), ბუნებრივი აირის არქონა (14,23%) და ამორტიზირებული შიდა გზები (53%), ასევე სანიაღვრე არხების ამორტიზირებულობა - 12,6%.



SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სისუსტეები
<ul style="list-style-type: none"> • ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი • თბილისი-ბათუმის გზატკეცილი მაგისტრალი კვეთს ქალაქის მთელს ტერიტორიას • ფოთის სამრეწველო ზონასთან სიახლოვე • თბილისი-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალი • შედარებით თბილი ზამთარი და გრძელი ზაფხული ქმნის ეკონომიურად მოსახერხებელ (ხელსაყრელ) მდგომარეობას აგროკულტურებისთვის • ქალაქს გააჩნია განვითარებული NGO სექტორი; • მიმდინარეობს ადგილობრივი გზების ინტენსიური შეკეთება • ქალაქის ტერიტორიის 100% დაფარულია ბუნებრივი გაზომარაგების სისტემით; • ქალაქის ტერიტორია მთლიანადაა დაფარული ფიჭური და სხვა სატელეფონო ოპერატორებით • ქალაქს გააჩნია საჯარო სკოლები; • ქალაქს გააჩნია ორი საავადმყოფო • სატრანსპორტო კომუნიკაცია ყველა ტერიტორიული ერთეულის მიმართულებით • ქალაქში არის თეატრი და მუზეუმი, • ბათუმთან და ფოთთან სიახლოვე აადვილებს ბაზრის ხელმისაწვდომობას აგრო კულტურებისთვის • კვალიფიცირებული მუშახელი 	<ul style="list-style-type: none"> • ინფრასტრუქტურის უმეტესობა აშენებულია საბჭოთა კავშირის პერიოდში და საჭიროებს რეაბილიტაციას; • სასმელი წყლის სისტემა არ შეესაბამება სტანდარტებს. • წყლის სისტემა ვერ აკმაყოფილებს სამრეწველო მოთხოვნებს • ქალაქში არ არსებობს გამართული საკანალიზაციო სისტემები; • საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის და გამწმენდი ნაგებობების არ არსებობა • უმეტესი ნაწილი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოებისა ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან და ქალაქს არ გააჩნია ფინანსური სახსრები რათა თავად მოხდინოს ინვესტირება ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში. • ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, რომელიც დამყარებულია წვრილ კომლექსებზე ; • ელექტროენერჯის მაღალი გადასახადი; • არ არსებობს ქალაქის ტერიტორიული განაშენიანების გეგმა • სუსტია თანამშრომლობა ადგილობრივ ადმინისტრაციასა და ბიზნესს ჯგუფებს შორის • ქალაქს არ აქვს სპორტული დარბაზები .
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა ხორციელდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ • ბათუმის სწრაფი განვითარება გაზრდის მოთხოვნას აგროკულტურულ საქონელზე • ფოთის სამრეწველო ზონის განვითარება გაზრდის დასაქმებულთა რიცხვს • ახალი თბილისი-ბათუმი-სარფის მაგისტრალის მშენებლობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ განვითარებას • თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ხელმოწერა ევროკავშირთან გახსნის ახალ ბაზარს ქართული აგროკულტურული პროდუქტებისათვის 	<ul style="list-style-type: none"> • გლობალური ეკონომიკური კრიზისი • განვითარებადი ეკონომიკური სისტემა და ცენტრალიზებული სახაზინო (ფისკალური) სისტემა • გაზრდილი მიგრაცია • კავკასიის რეგიონში არასტაბილური მდგომარეობა

ქალაქის ხედვა 2017 წლისთვის

ლანჩხუთი – ქართული ტრადიციების ევროპული ქალაქი

ლანჩხუთი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი – პატარა ევროპული ქალაქი მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით.

განვითარებულია აგრობიზნესი - ძლიერი საოჯახო მეურნეობებით, სტიმულირებულია ამხანაგობები. ქალაქი ყველა დასახლებულ პუნქტთან დაკავშირებულია კარგი, განახლებული გზით.

განვითარებულია საკომუნიკაციო საშუალებები. მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემები. ძლიერი მცირე საწარმოები განაპირობებს მაღალ დასაქმების დონეს.

ყველა კუთხისგან გამორჩეული ფოლკლორული ტრადიციები ლანჩხუთს აქცევს მსოფლიო ფოლკლორის ქალაქად.

განვითარების პრიორიტეტები

2014-2017 წლებში ქალაქის სტრატეგია მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ქალაქ ლანჩხუთის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

6) პროგრამები და პროექტები

#	შესასრულებელი ამოცანა/პროექტი	2014	2015	2016	2017	პასუხისმგებელი ინსტიტუცია
1. იფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია						
1.1	ქალაქ ლანჩხუთის ქუჩების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა	3500,0	3500,0	4000,0	4000,0	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ცენტრალური ხელისუფლება
1.2	ქალაქ ლანჩხუთის კანალიზაციის სისტემის მოწყობა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	4000,0	4000,0	4500,0	7000,0	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ცენტრალური ხელისუფლება
1.3	ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ახალი სათავე ნაგებობის მშენებლობა და ფილტრებითა და საქლორავით მოწყობა	2500,0	2500,0			ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ცენტრალური ხელისუფლება
1.4	ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ნაგავსაყრელის პოლიგონის მოწყობა; სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატრებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა; ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქალაქის ქუჩების მორწყვა და მორეცხვა.	845,0	6 820,0	900,0	950,0	ა.(ა).ი.პ. „ლანჩხუთი-სერვისი“, ტერიტორიალური ორგანო

1.5	<p>გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, გარე განათების არსებული ქსელში მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა;</p>	90,0	100,0	110,0	120,0	ა.(ა).ი.პ. „ლანჩხუთი-სერვისი,,
1.6	<p>არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა; ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება; ქალაქის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების ფორმირება, ზეხმელი და ავრიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა; მცენარეთა შესყდვა დარგვის თანმდევი მომსახურებით. მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში; რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება;</p>	120,0	130,0	135,0	140,0	ა.(ა).ი.პ. „ლანჩხუთი-კეთილმოწყობა,,

1.6	<p>პროგრამის მიზანია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზრდა, არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების ეფექტური გამოყენება; სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრებში ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტების მიერ ფერმერებისათვის სწავლების ჩატარება და საკონსულტაციო მომსახურება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე; სასათბურე მეურნეობების განვითარება სანერგე მეურნეობების შექმნა, მაღალ ხარისხიანი, ჯიშისანი ნერგების გამოყვანა არსებული ამორტიზირებული და არარენტაბელური ბაღების ჩასანაცვლებლად, ხილსაცავების მოწყობა მოსალოდნელი ეკონომიკური ზიანის მინიმიზირების უზრუნველყოფის მიზნით საკარანტინო მავნებლების გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარება; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები;</p>	50,0	65,0	65,0	65,0	ააიპ „ლანჩუთის აგრობიზნეს ცენტრი“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლანჩუთის საკონსულტაციო ცენტრი
1.8	<p>ქალაქის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, ქალაქის შესახებ ცნობადობის მიღწევა საერთაშორისო დონეზე; დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, კულტურული ტრადიციების აღდგენა, ახალგაზრდობის ჩართვა სხვადასხვა საქმიანობებში; გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელება;</p>	15,0	10,0	10,0	10,0	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
2. განათლება						
2.1	<p>საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, დამატებით ბაგა-ბაღების მშენებლობა კონტიგენტის დიდი რაოდენობის გამო; საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა. ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასების ზრდა</p>	450,0	150,0	170,0	1 80,0	ა.ი.პ.ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო ცენტრი
2.2	<p>2 საჯარო სკოლის აღდგენა-რეაბილიტაცია.</p>	500,0	500,0	50,0	50,0	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2.3	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აღდგენა	110,0	110,0	110,0	110,0	ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები						
	სპორტული სკოლის მშენებლობა , ინვენტარით აღჭურვა გამართული ფუნქციონირება	2500,0	220,0	230,0	250,0	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ცენტრალური ხელისუფლება ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი
3.1	ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩამბმა სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.	250,5	270,0	290,0	320,0	ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი
3.2	ქალაქის მასშტაბით მასობრივი გამაჯანსაღებელი, სპორტული ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა. სპორტის სხვადასხვა სახეობებში რესპუბლიკურ პირველობებისა და ჩემპიონატების ორგანიზება. რაიონული და საქალაქო პირველობების ჩატარება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება, პროფესიული დონის განსაზღვრა და სხვა.	204,9	200,0	200,0	200,0	ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი
3.3	ბავშვთა საფეხბურთო გუნდების ფუნქციონირება. აქციების, სპორტული ღონისძიებების მოწყობა. საერთაშორისო ორგანიზაციათა პროგრამებსა და კონკურსებში მონაწილეობა.	220,0	240,0	240,0	240,0	ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა
3.4	სპორტის სახეებში რესპუბლიკურ პირველობებისა და ჩემპიონატების ორგანიზება. რაიონული და საქალაქო პირველობების ჩატარება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება, პროფესიული დონის განსაზღვრა და სხვა.	77,0	85,0	85,0	85,0	ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა

3.5	კულტურული ტრადიციების დაცვა; ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, ფოლკლორული ფესტივალების, კონცერტების ორგანიზება, ხალხური რეწვის ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.	300,0	305,0	305,0	305,0	ა.ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
3.6	ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესების და პროფესიული მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილება;	100,0	100,0	100,0	100,0	ა.ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა
3.7	მუზეუმში დაცული საგანძურის და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა, გამოფენებისა და ექსპოზიციების მოწყობა	140,0	155,0	155,0	155,0	ა.ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტური მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრი
3.8	ბავშვთა ცნობიერების ამაღლება. ბავშვებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. ბავშვებში კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების გაცნობა. თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და განვითარება.	200,0	200,0	200,0	200,0	ა.ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
3.9	დაწყებითი სამხატვრო განათლების სწავლება, ხელოვნებასთან ზიარება, ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარება.	100,0	120,0	150,0	170,0	ა.ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა
3.10	დაწყებითი მუსიკალური განათლების მიღება, მოსწავლის - პიროვნების ინდივიდუალური მიდრეკილებების განვითარება და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. მუსიკალური ხელოვნების საფუძვლების, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა.	170,0	180,0	190,0	200,0	ა.ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

3.11	<ul style="list-style-type: none"> . ბავშვების ჩართვა ტრენინგ-სემინარებში, ფორუმებში, სესიებში, ინტელექტუალურ-შემეცნებით, გასართობი თამაშებში, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსებში და სხვა; . შემოქმედი ახალგაზრდების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა); . ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში) 	11,0	25,0	25,0	25,0	მუნიციპალიტეტის გამგეობა
------	--	------	------	------	------	--------------------------

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

4.1	<ul style="list-style-type: none"> . ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და ეპიდემიოლოგიური კონტროლი, დაავადების გადაცემის გზების, რისკფაქტორების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით; . პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულება, . ასაცრელი მასალის უზრუნველყოფის ორგანიზაცია და კონტროლი, . განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა ბუნებრივი კერების გამოვლინება, შესწავლა და მათზე ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურების ხელშეწყობა, სხვა ღონისძიებები. 	130,0	130,0	130,0	130,0	ა.ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
4.2	<ul style="list-style-type: none"> . ქალაქში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიური დახმარება. . ქალაქში მცხოვრები ახალშობილთა ოჯახების 	50,0	55,0	60,0	65,0	მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური

4.3	ქალაქ ლანჩხუთში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კვება;	80,0	80,0	80,0	80,0	ა.ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილო
4.4	. ქალაქში მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების (სამამულო ომის); . საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1992-1993 წლებში დადუკულ მებრძოლთა ოჯახები; . 2008 წლის აგვისტოს ომში დადუკულთა ოჯახები) მატერიალური დახმარება;	29,0	20,0	20,0	20,0	მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური
4.5	ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება და ზამთრისათვის საშემე მერქნის თანხით უზრუნველყოფა	16,3	20,0	20,0	20,0	მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური
4.6	100 წლის და 100 წელს ზემოთ მყოფი მოქალაქეების დახმარება	11,0	2,0	2,0	2,0	მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური
4.7	დღის ცენტრი ფუნქციონირების მხარდამჭერა	30,0	40,0	40,0	40,0	მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური

7) წარმატების ინდიკატორები

#	პრიორიტეტი	მიღწეული შედეგი/ შესრულებული სამუშაო	მოსარგებლეთა რაოდენობა	სავაარაუდო გავლენა მოსარგებლეებზე
1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია				
1.1	ქალაქი ლანჩხუთი კომფორტული და უსაფრთხო ქალაქი	ქალაქ ლანჩხუთის ქუჩები მოასფალტებულია, მოწყობილია სანიაღვრე არხები, აცილებულია საავარიო სიტუაციები და მოსახლეობა დაცულია წვიმების დროს წყლით დატბორვისაგან	ქალაქ ლანჩხუთის 8 ათასამდე მოსახლე	ქალაქ ლანჩხუთის მოსახლეობა, მისი ქართველი თუ უცხოელი სტუმრები, კმაყოფილნი არიან იმით, რომ ქალაქ ლანჩხუთი კომფორტული და უსაფრთხო ქალაქი მოწესრიგებული ქუჩებით.
1.2	ლანჩხუთი – სანიტარულად მოწესრიგებული ქალაქი	ქალაქში მოწესრიგებულია კანალიზაციის სისტემა, გამართულად მუშაობს გამწმენდი ნაგებობა, გაუმჯობესებულია სანიტერული მდგომარეობა	ქალაქ ლანჩხუთის 8 ათასამდე მოსახლე	ქალაქ ლანჩხუთის მოსახლეობა, მისი ქართველი თუ უცხოელი სტუმრები, კმაყოფილნი არიან იმით, რომ ქალაქ ლანჩხუთი კომფორტული და სანიტარულად მოწესრიგებული ქალაქი
1.3	ლანჩხუთი კომფორტული ქალაქი	ქალაქში მოწესრიგებულია წყალსადენის სისტემა, გამართულად მუშაობს საქლორავი და საფილტრი ნაგებობა, გაუმჯობესებულია სანიტერული მდგომარეობა	ქალაქ ლანჩხუთის 8 ათასამდე მოსახლე	ქალაქ ლანჩხუთის მოსახლეობა, მისი ქართველი თუ უცხოელი სტუმრები, კმაყოფილნი არიან იმით, რომ ქალაქ ლანჩხუთში არის სტანდარტების შესაფერისი წყალმომარაგების სისტემა.
1.4	ლანჩხუთი – ეკოლოგიურად სუფთა და სანიტარულად მოწესრიგებული ქალაქი	ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორია დასუფთავებულია საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენებიდან. მოწესრიგებულია ნაგვის შეგროვება და უტილიზაცია. ყოველდღიურად იგვება ქალაქი	ქალაქ ლანჩხუთის 8 ათასამდე მოსახლე	ქალაქ ლანჩხუთის მოსახლეობა, მისი ქართველი თუ უცხოელი სტუმრები, კმაყოფილნი არიან იმით, რომ ქალაქ ლანჩხუთი არის ეკოლოგიურად სუფთა ქალაქი; სანიტარულად მოწესრიგებულია ქუჩებით.

1.5	განათებული, კეთილმოწყობილი და უსაფრთხო ქალაქ ლანჩხუთი	განათებული ქუჩები და სკვერები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას ღამის საათებში; მაწანწალა ცხოველების სპეციალიზირებულ თავშესაფარში გადაყვანით უზრუნველყოფილია მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; მწვანე საფარის შენარჩუნება და მისი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს ჩამოყალიბებას;	ქალაქ ლანჩხუთის 8 ათასამდე მოსახლე ასევე ქალაქში სტუმრად მყოფი პირები	მოსახლეობა კმაყოფილია და უსაფრთხოდ გრძნობს თავს, რადგანაც კეთილმოწყობილია, განათებულია ქალაქი
1.6	ლანჩხუთი მწვანე და უსაფრთხო ქალაქი	მაწანწალა ცხოველების სპეციალიზირებულ თავშესაფარში გადაყვანით უზრუნველყოფილია მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; მწვანე საფარის შენარჩუნება და მისი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს ჩამოყალიბებას;	ქალაქ ლანჩხუთის 8 ათასამდე მოსახლე ასევე ქალაქში სტუმრად მყოფი პირები	გამწვანებულია ქალაქის ქუჩები და სკვერები. მაწანწალა ცხოველებისაგან დაცულია მოსახლეობა
1.7	განვითარებული სოფლის მეურნეობა	იზრდება სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა; ვითარდება სასათბურე და სანერგე მეურნეობები; ამორტიზირებული და არარენტაბელური ბაღები ჩანაცვლებულია ახალი ჯიშებით; მოეწყო ხილსაცავები; მავნებლების გავრცელების წინააღმდეგ რეგულარულად ტარდება ღონისძიებები; ამალღებულია ნიადაგის ნაყოფიერებები;	წლის განმავლობაში მოემსახურება ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფერმერს და ადგილობრივ მოსახლეს	ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია სხვადასხვა მცენარეულ კულტურათა გაშენების, მათი მოვლის, მოსავლიანობის საკითხებზე, ასევე მეცხოველეობის ხარისხიანი პროდუქტის მიღების და ჯიშების შემოყვანის საკითხებზე
1.8	საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება და მოსახლეობის ჩართულობის ამაღლება	ქალაქ ლანჩხუთის შესახებ ცნობადობა ამაღლებულია, ახალგაზრდები მონაწილეობენ თვითმმართველობის სხვადასხვა საქმიანობებში; ხორციელდება გარემოს დაცვითი ღონისძიებები; ქალაქი მონაწილეობს ერთობლივ და ქსელურ პროექტებში ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებთან	ქალაქ ლანჩხუთის 8 ათასამდე მოსახლე	ქალაქ ლანჩხუთში განვითარებისათვის ყველა წინაპირობა, დაინტერესებულ მოსახლეობას, მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობა ადვილად ისარგებლონ განვითარების სააგენტოს მომსახურებით
1. განათლება				
2.1	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი; მოწესრიგებულია ბავშვთა განათლების, კვების, ჯანმრთელობის და მოვლის პირობები.	1800	საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობის ზრდა. კმაყოფილი, ჯანსაღი, განათლებული და მოვლილი ბავშვები

2.2	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	<p>. ქალაქ ლანჩუთის საჯარო სკოლაში ლიკვიდირებულია დაზიანებები და საგანგებო შემთხვევებისას წარმოშობილი პრობლემები;</p> <p>. გამართულია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა,</p>	2 სკოლა, 310მდე მოსწავლე და 75ი პედაგოგი	რეაბილიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, მოსწავლეთათვის განათლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.
2.3	სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების აღორძინება	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელი გაერთიანებული არიან სხვადასხვა წრეებში და ისინი ვითარდებიან სხვა მიმართულებით.	250–მდე სკოლის მოსწავლე	სწორადაა ორგანიზებული ბავშვებისათვის თავისუფალი დროის გამოყენება. ისინი ვითარდებიან ფიზიკურად და გონებრივად, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა.

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

3.1	ლანჩხუთი ჯანსაღი ცხოვრების წესის ქალაქი	ჯანსაღი მომავალი თაობა	400	ქალაქის მოსახლეობამ პისდეც ცხოვრების ჯანსაღწესს
3.2	ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.	<ul style="list-style-type: none"> · ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; · სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა; · ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა; 	500	<ul style="list-style-type: none"> · გაიზრდება საქართველოს პირველობებში და საერთაშორისო ტურნირებში · პრიზიორების რაოდენობა; · წარმატებულ სპორტსმენთა რაოდენობა; · მიღწეული წარმატებების რაოდენობა.
3.3	ლანჩხუთის სპორტის სხვადასხვა სფეროს განვითარება	<ul style="list-style-type: none"> · ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; · სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა; · ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა; 	500	<p>გაიზრდება საქართველოს პირველობებში და საერთაშორისო ტურნირებში</p> <ul style="list-style-type: none"> · პრიზიორების რაოდენობა; · წარმატებულ სპორტსმენთა რაოდენობა; · მიღწეული წარმატებების რაოდენობა.
3.4	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> · ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; · ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; · ჩემპიონატში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა; 	230	<p>გაუმჯობესდება საქართველოს პირველობებში და სხვადასხვა ტურნირებში მიღწეული შედეგები;</p>

3.5	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> · ორგანიზებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; · ქართული კულტურის შედეგების წარმოჩინება და პოპულარიზაცია; · ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების რაოდენობა . · გაიზრდება ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი დონე · გაიზრდება ხალხური ხელოვნების დარგების, მათ შორის რეწვის ტრადიციების პოპულარიზაცია, · წარმოჩინდება ნიჭიერი ახალგაზრდები 	ქალაქის მოსახლეობა	<ul style="list-style-type: none"> · გაიზრდება ტრადიციული ქართული ხელოვნებისადმი ინტერესი; · ქალაქ ლანჩხუთის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში; · საზოგადოების ფართო ნაწილი მონაწილეობას მიიღებს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში; · წარმოჩინდება ნიჭიერი შემოქმედები; · დაფასებული იქნებიან ღვაწლმოსილი ადამიანები
3.6	ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	მოსახლეობისათვის განახლებული სერვისის შეთავაზება და მკითხველის დაინტერესების გზით მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა;	ქალაქის მოსახლეობა	გაუმჯობესდება მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურება
3.7	მუზეუმების პოპულარიზაცია და განვითარება	<ul style="list-style-type: none"> · მუზეუმებში მოწესრიგებულია ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები; · მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის გაადვილებული სამუშაო პროცედურები; 	700	გაიზრდება მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა; ასევე გამოფენების და ექსპოზიციების რაოდენობა;
3.8	თეატრი მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> · ყოველწლიურად მაყურებლისათვის შეთავაზებული სპექტაკლებისა და ღონისძიებების რაოდენობის ზრდა, ასევე პრემიერების რაოდენობის გაზრდაბავშვთა შემეცნებითი და კულტურული უნარების განვითარება. ბავშვებში თეატრალური კულტურის ამაღლება. 	ქალაქ ლანჩხუთის მოსახლეობა	დაიდგმება ახალი სპექტაკლები და ამაღდება მოსახლეობის ინტერესი თეატრალური ხელოვნების მიმართ.

3.9	სამხატვრო სკოლის მხარდაჭერა	მოსწავლეებისათვის ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები გაცნობა	100 მოსწავლე	მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნება ჩამოყალიბებულია და ამადღებულა; მოსწავლეთათვის სამყაროს მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარჩვევების, პრაქტიკული მხატვრული აქტივობების განვითარებით
3.10	სამუსიკო სკოლის განვითარება	კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები.	120 მოსწავლე	ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნება; ხდება აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდა.
3.11	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	<ul style="list-style-type: none"> ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა; ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა; კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები; 	500	<ul style="list-style-type: none"> მაღალია ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა; გაზრდილია წარმატებული და ინიციატივანი ახალგაზრდების რაოდენობა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

4.1	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელება	ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;	ქალაქ ლანჩხუთის მოსახლეობა	არსებობს ყველა პირობა მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებისათვის,
4.2	ბავშვთა შობადობის გაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> გაუმჯობესებულია მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობა; ქალაქში გაუმჯობესებულია დემოგრაფიული მდგომარეობა, გაზრდილია სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების კმაყოფილება; 	400	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებულია და ისინი გამოთქვამენ კმაყოფილებას
4.3	მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო კვებით უზრუნველყოფა და ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	145	ქალაქში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი საკვებით უზრუნველყოფა

4.4	ვეტერანთა დახმარების პროგრამა	ვეტერანებისა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;	60	ვეტერანებისა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
4.5	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	იძულებით გადაადგილებულ პირებს გაუმჯობესდებათ სოციალური პირობების	65	იძულებით გადაადგილებულ პირებს გაუმჯობესდებათ სოციალური პირობების
4.6	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	ხანდაზმულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	5	სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება
4.7	სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის მხარდაჭერა	უკიდურესად შეჭირვებული ბავშვი გაიზრდება ჯანსაღ გარემოში, მიიღებს შესაბამის განათლებას და სამედიცინო მომსახურებას	30	სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

8) მონიტორინგი და შეფასება

ქალაქ ლანჩხუთის განვითარების სტრატეგიის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას ახდენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულო ამ დოკუმენტის მე-7-ე თავში მოცემული ინდიკატორების განთვალისწინებით. საკრებულო მუნიციპალიტეტის გამგებლისაგან და ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელებისგან ისმენს ყოველწლიურ ანგარიშს სტრატეგიის შესრულების შესახებ.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ, ერთი კვირის ვადაში საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი აწყობს საჯარო განხილვას თავის ტერიტორიულ ერთეულში და მოსახლეობას წარუდგენენ ანგარიშს. საჯარო განხილვის დროს ფასდება როგორც სტრატეგიის შესრულება, ასევე მასში შესაძლო ცვლილებების აუცილებლობა.

ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, საჯარო განხილვის შემდეგ ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული აგროვებს შესტან ცვლილებებს და აწვდიან ამ დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფს. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით ხდება სტრატეგიის რედაქტირება და ერთი კვირის ვადაში საკრებულოს წარედგინება მუნიციპალური განვითარების საშუალოვადიანი პროგრამის ახალი ვარიანტი. საკრებულო ამტკიცებს შესწორებულ ვარიანტს და უზრუნველყოფს მას მუნიციპალიტეტის გამგებთან აღსრულებისთვის. შესრულების ანგარიში, ისევე როგორც საჯარო მოსმენების ოქმი და დოკუმენტის შესწორებული ვარიანტი, განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტის მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან მოქალაქეებს მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია ამ დოკუმენტის განხორციელების, მის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებისა და გახარჯული თანხების შესახებ.